# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ერთ 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე შემოსულ განცხ. ღებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კ. ... გლოვიარო განცხადებები ... ჯერ ნაშუადღევის ... 2 საათ შემდეგ 5 მან.

**რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლებში.**

№ 518 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 518


## დაიწყო ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა 1917 წლისათვის

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 15 მან. ნახევარი წლით 8 მან. ერთის თვით 1 50 კაპ., ცალკე ნომერი 7 კ.

თვიური ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისათანავე, მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კონტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი მიქელაძისა.
**დეპეშისათვის:** ქუთაისი „სამშობლო“.

რედაქტორი — **ი. თ. ცინცაძე.**
გამომცემელი **ამხანაგობა „სამშობლო“.**

---

ხუთშაბათს, 29 ამა დეკემბერს, დილის ათ საათზე, სოფელს ზედა-ილემში დედა ღვთის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

### კონსტანტინე ბექანის ძის მაჭავარიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებულის შვილი ნაფიცი ვექილი ზაქარია კონსტანტინეს ძე მაჭავარიანი მეუღლით და შვილებითურთ.
1—1

---

მეუღლე ქუჟუნა ივანეს ასული ცომაიასი, შვილები: თათუშა, გრიშა, ქორჟი და ლეონიდე, ძმები: კონსტანტინე და ბარნაბ მიხეილის ძენი ცომაიები, დედა ბარბალე ცომაიასი გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 27 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქუთაისში გარდაიცვალა

### ნოე მიხეილის ძე ცომაია

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 31 დეკემბერს სოფ. ნოღოხაში, საღ. აბაშა. 1—1.

---

### თეკლე გიორგის ასული გამრეკლიძისა

გარდაიცვალა 27 დეკემბერს, ღამით, რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ პოდპოლკ. ვაჟები ვარდენი და ვლადიმერი ლუკას ძენი გამრეკლიძეები; ქალიშვილები ალექსანდრა გოგოლაშვილისა და ვალენტინა ზდანევიჩისა ოჯახობით და რძალი ნინა პეტრეს ასული გამრეკლიძისა. პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე საღამოს 5 საათზე, ხოლო გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება 31 დეკემბერს საღამოს 4 საათზე, ძველი თბილ. ქუჩა საკ. სახლიდან. 3—1.

---

## დაიბეჭდა და იყიდება

### ქართული კედლის კალენდარი 1917 წლისა.

შედგენილი გრ. ვას. ჩარკვიანის მიერ.
კოოპერატიული ამხანაგობის „განახლება“-ს გამოცემა. ფასი ერთი მან.
მოითხოვეთ ყველა ქართულ წიგნებით მოვაჭრეებთან.

---

გამოვიდა და იყიდება მშვენიერი

### ქართული კედლის კალენდარი

კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული ქუთაისში
ფასი 4 აბაზი.

---

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**

### კომერციულ ცოდნათა კურსები ტ. მ. ფილოიანისა

**ორივე სქესისთვის**

(თბილისში, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976).

**თხოვნის მიღება:** 4—5 საათ საღამოთი მეცადინეობა დაიწყება 15 იანვარს პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

---

**ექიმი ი. ჩარექიშვი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი: ლეჟავაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**

### დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**ს.-მ. ბ. მიწის მზომელი ვ. ს. ასათიანი**

[illegible]დგენს მამულების პლანებს, აწვდის მიწის შეძე[illegible] მსურველებს უტყუარ ცნობებს ქართლ-კა[illegible] აფხაზეთის ნაყოფიერ და იაფ ადგილ-მამულ[illegible] შესახებ. მემამულეთა დავალებით ტიხრავს [illegible]ებს ნაწილ-ნაწილად გასაყიდათ. მისამართი: [illegible]ში, „ჩვ.მ.“ და „სამშ.“ რედაქცია; ან პროვიზ[illegible]ს აფთიაქის მაღაზია, ქალ. თეატრის პირ[illegible]არ. ქიათურაში კი შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან.

---

**ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.
8-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**ექიმი ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
[illegible]

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

---

**ექიმი მულინი,** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.
თბილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

---

**ოდესის საბებიო კურსებ დამთავრებული**

**ბებია ს. ს. ნემსაძისა** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, ბებეჯაშვილის სახლები, ფოსტის მახლობლათ.

---

**ვისაც თვალები ტკივა, ან თეთრი აქვს გადაკრული,** მიმართეთ ქ. ქუთაისში თეთრ ხიდ გაღმა გოშპიტლის კარებთან ჭეიშვილის სახლში **მიხეილ კაშიას,** რომელმაც მე მომირჩინა ბოვში უპერაციოთ.
**ვარლამ ხუჯაძე.**

---

**საჭიროა ბინა** 4—6 ოთახით და სამზარეულოთი დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრანომისთვის ღეღეღ რთი: აბორინის შესახვევი მთავრობის და ერობის აგრანომის კანცელარია.

---

**ვყიდი** ჩემს ნაწარმოებს:

| | | | |
|---|---|---|---|
| შავქლიავს | 1,60—1,80 | კაპ. | გირვ. |
| ყურძენს | 1,50—1,60 | „ | „ |
| ბიას გამშრალს | ———1,20 | „ | „ |
| ახალ ლობიოს გამშრალს | 1 მან. | | „ |

სარაჯიშვილის ქუჩა [illegible]

---

**იყიდება სახლი და მამული** 2 სართულიანი ქვის შენობა ქვის სარდაფით. მიწაა 350 კვ. საჟ. ქუთაისში პუშკინის ქ., № 10. პირობების გასაგებათ მიმართეთ თბილისში მიხეილის ქ. № 113,
**ექიმ გოკიელოვს.**

---

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საოფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იაფიანს პირობით. მისამართი: თბილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“ ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ. ტელეფონი № 183.

---

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი**

### მარიამ ტ. გალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლი № 17.

---

## მსოფლიო ომი.

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.)

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

23 დეკემბერი.

**პეტროგრადი.** 21 დეკემბერს საღამოთი, არტილერიის ძლიერი სროლის შემდეგ, გერმანელებმა დაიპყრეს მდ. დვინაზე კუნძული გლ უდანის აღმოსავლეთით (დვინსკის ჩრდილოეთით), ღამით გერმანელებმა ამ კუნძულიდან მცირე ჯგუფებით დაიწყეს შეტევა ჩვენი ნაპირისაკენ, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ. ბატკუვიან (ბროდის 30 ვერსის სამხრეთით) მოპირდაპირის როტამ შეტევა იწყო, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. შიბალინის მიდამოებში, ბრჟესანის აღმოსავლეთით მოპირდაპირე მდინარეზე გადმოსვლას შეეცადა, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. ზლოტვინის ჩრდილოეთით ჩვენმა მზვერავებმა მედგარი იერიში მიიტანეს მოპირდაპირის მზვერავებზე, ნაწილი დახვრიტეს, ნაწილი გააქციეს და დაატყვევეს.

**რუმინეთის ა პარეზი.**

მდ. ტატროშის ველით კოტუმბის რაიონში მოპირდაპირის იერიში მოვიგერიეთ. არტილერიის ძლიერი სროლის შემდეგ მოპირდაპირემ დიდი ძალებით ხუთ ჯერ იერიში მოიტანა ჩობანიაშის ველის სამხრეთით, მაგრამ მოვიგერიეთ. მოპირდაპირის სამი იერიში მდ. ოიტუზის ჩრდილოეთით აგრეთვე მოვიგერიეთ. მოპირდაპირემ უკან დაახევინა ჩვენს მოწინავე რაზმებს ტოპესჩის აღმოსავლეთით (მდ. ზაველას და პუტნას რაიონში, (ამ შესართავის ორი ვერსის სამხრეთით) კოპრორიორას რაიონში (ნერუჯას 12 ვერსის სამხრეთ-აღმოსავლეთით) მოპირდაპირემ რამდენიმეჯერ დაახევინა რუმინელებს. მოპირდაპირის ოთხი იერიში კაპატუნუს რაიონში (ფოკშანის 14 ვერსის ჩრდილო-დასავლეთით) რუმინელებმა მოიგერიეს. მოპირდაპირემ სამი დივიზიით და 30 ბატარეით იერიში მოიტანა ჩვენს ჯარზე მდ. ბუზეოს შესართავის სამხრეთით და უკან დაგვახევინა. დობრუჯაში მოპირდაპირემ დილიდან გაძლიერებული იერიში მოიტანა ვეკერლეს რაიონში, ბრაილოვის 15 ვერსის აღმოსავლეთით მთელი დღე ჩვენი ჯარი მედგრად ებრძოდა რიცხვით მეტს მოპირდაპირეს, დიდი ზარალიც მიაყენა, მაგრამ საღამოთი იძულებული გახდა დუნაის მეორე ნაპირზე გადმოსულიყო.

**კავკასიის ასპარეზი.**

სპარსეთში ბურუჯირის მიმართულებით ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა 14 დეკემბერს გაილაშქრა სულტან აბადიდან, იმავ დღეს ბრძოლით დაიპყრა სოფ. აზნა, დაამარცხა ჟანდარმები ტულის ველში; 18 დეკემბერს მოპირდაპირის დევნაში გაარღვია მისი გამაგრებული ხაზი გურაბთან და საღამოს 8 საათზე დაიპყრა დოვლეთ-აბადი. მოპირდაპირე შეჩერდა ამირ-აბადის გზის მაღლობზე, მაგრამ უკუვაქციეთ და [illegible]კილ-აბადამდე დავახევინეთ.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**სხვა და სხვა ამბები.**

ბულგარეთის პირველ მინისტრს რადოსკლავოს ამას წინად სიტყვა წარმოუთქვამს საზავო წინადადების შესახებ. მოგვყავს ერთი ადგილი:

„ზავს ჩვენ მაშინ დავთანხმდებით, როდესაც სტამბოლზე ოცნებას რუსები თავს დაანებებენ, ხოლო ვიდრე მათი ჯარი ბალკანეთში იმყოფება, ამის იმედი არ უნდა გვქონდეს. თუმცა მოკავშირეებს საბერძნეთი და სამხრეთ ალბანეთი უჭირავთ, მაგრამ ჰინდერბურგისა და ჩვენი მთლიანი ბრძოლის ასპარეზისა წყალობით ბალკანეთის ბედიღბალი მაინც ჩვენ ხელში დარჩება; გერმანელებმა შემოიღეს საყოველთაო შრომის ბეგარა და არც ჩვენ დავაყოვნებთ ამას; ჩვენი ძლიერება საზღაპროდ განვითარდება და, თუ მოკავშირენი ნებით არ წავლენ ბალკანეთიდან, ძალით განვდევნით-ო.“

— **საბერძნეთი.** ათინის ოფიციალური წყაროებიდან იტყობინებიან, თუ მოკავშირეებმა საბერძნეთის სანაპიროების გარემოცვა არ მოხსნეს, მაშინ მეფე კონსტანტინე მოიწვევს დეპუტატებს და ხმის უმეტესობით უკიდურესი ზომების მიღებას გადააწყვეტინებსო.

— რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში ჯერ არ მიუღიათ ცნობა, რომ მეფე კონსტანტინეს მოკავშირეთა მოთხოვნილებანი მიეღოს. ირწმუნებიან, არავითარ შემთხვევაში მოკავშირენი გარემოცვას არ მოხსნიან, თუ საბერძნეთმა მათი მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილაო.

— **სამხედრო მოძმედება** როგორც შვეიცარიიდან იტყობინებიან ავსტრია დიდი საზღვაო ბრძოლისათვის ემზადება ხმელთა შუაზღვაში ადრიატიკის ნავთსადგურებში: პოლაში და ფიუმეში დიდი მოძრაობაა, ავსტრიის ყველა სამხედრო გემებზე აფიცრებად გერმანელები დაუყენებიათ.

— გერმანულ წყალქვეშებს ნორვეგიის 4 გემი კიდევ დაუღუპავთ.

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** დვინას ხაზზე გერმანელები მედგრად ამ ოქმედებენ. მას შემდეგ, რაც მათ დაიპყრეს კუნძული გლაუდენი რომელიც დვინსკის ჩრდილოეთითაა, ძლიერ საარტილერიო ბრძოლას აწარმოვებენ. გალიციაში რამდენიმე ალაგას გერმანელები მხნედ მოქმედებდნენ.

**კავკასიის ასპარეზი.** სპარსეთში რუსის ცხენოსანი ჯარი სულტან აბადიდან დაიძრა და რამდენიმე სოფელი დაიპყრო.

**რუმინეთის ასპარეზი.** მოლდავიის რამდენიმე ნაწილში გერმანელ ავსტრიელებმა ძლიერი იერიშები მოიტანეს, ზოგან რუსებმა უკან დაიხიეს. ფოქშანის ჩრდილო-დასავლეთით სამი დივიზიით და 180 ზარბაზნით მედგარი იერიში მოიტანეს. რუსებმა უკან დაიხიეს რუსებმა და რუმინელებმა დობრუჯა დასტოვეს.

— **ზავის გარშემო.** გერმანეთის ელჩს შეერთებულ შტატებში ბერნსტორფს უთქვამს: „საჭიროა დავივიწყოთ წარსული უთანხმოებანი, უკეთეს მომავალზე ვიფიქროთ და ზავი ჩამოვაგდოთო".

— ამერიკის ელჩსა ბერლინში ჯერარდისა ერთის მხრივ და მეორეს მხრით კაიზერისა და ციმერმანის შორის დიდი საიდუმლო მოლაპარაკება მომხდარა, რომელიც საიდუმლოთვე ვილსონისათვის გადაუციათ. ამბობენ ამერიკა და გერმანეთი საზავო პირობებს იმუშავებენ, რის შემდეგაც ვილსონი უფრო თამამად გასწევს შუამავლობას ზავის ჩამოსაგდებათო.

— როგორც პარიზიდან იტყობინებიან, ვუდრო ვილსონის საზავო ნოტის პასუხს მოკავშირეები მხოლოდ იანვრის გასულისათვის დაამზადებდენო.

— მოკავშირეთა პასუხს საზავო წინადადებაზე გერმანეთში უკმაყოფილება გამოუწვევია. მთელი გერმანული პრესა იმ აზრისა არის, რომ ომის გაგრძელების ბრალი შემდეგში მოკავშირეებს ედებათ, განსაკუთრებით კი ინგლისს. სოციალ-დემოკრატიის ორგან. „ფორვერტსი"-კი იმ აზრისა არის, რომ მოკავშირენი უნდა დათანხმებულიყვნენ ზავის ჩამოგდებას.

— **სხვა და სხვა ამბები** დიპლომატიური წრეები ირწმუნებიან გერმანელები ახლო მომავალში ბუქარესტიდან ამერიკისა და ჰოლლანდიის დესპანებს განდევნიანო.

— გერმანულ გაზეთის „ვჲოსიშე ცაიტუნგის" სიტყვით ინგლისს ნეიტრ[illegible] ქვეყნებისათვის მოუთხოვია, რომ [illegible] შეეჩერებინათ ის სავაჭრო გემები, რომლებიც ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობას ამტკიცებენ.

— საფრანგეთის სოციალისტები ორ ბანაკად არიან გაყოფილი: ერთი, უმცირესობა დარწმუნებულია, რომ მოკავშირენი ვერ დაამარცხებენ ცენტრალ კოალიციას, მეორეს—უმრავლესობას კი სწამს, რომ ევროპის ხალხის თავისუფალი განვითარება მხოლოდ გერმანეთის განადგურების შემდეგ შეიძლება.

## ქართული პრესა.

გაზეთი „საქართველო"—ასე ეგებება შობას.

იყო და აღარ არის! ქრისტეს შობა მთელი საქართველოის დღესასწაული იყო და ქრისტიანობა კიდევ—ერთობილის საქართველოის განსრულებული ეროვნება. შობა ქრისტესი თანაბარის მხურვალებით განათბობდა საქართველოს კიდითი-კიდე და ქართველ მოდგმის მთელი ჩამომავლობა, დიდი, თუ პატარა, ქალი, თუ კაცი ქრისტეანობაში ჰპოებდა რელიგიური სინიდისის ნათესაობას და საერთო ეროვნული სულის სიმტკიცეს. ეროვნული იყო ღმაფრენა, რადგან ერთი იყო რელიგიური ღმერთი, და ღმერთი იგი სავსებით ჰფარავდა ეროვნულ ღმერთსა! ქართველთა სარწმუნოება უკლებლივ ეროვნული იყო.

საქართველოს ისტორია მრავალ საუკუნის მანძილზე ამ სახით უქმობდა და დღესასწაულობდა ქრისტეს შობას. რა დიდი აზრი ჰქონდა ამ ჟამთა სიგრძეზედ ქართველის უზენაესი სინიდისის—სარწმუნოების-სჯულმდებლის, ნაზარეველის შობას! . მაგრამ ამ ქვეყნად „რა არს ფერ უცვლელ!"

კაცთა მოდგმის რელიგიურად დაპყრობაში ქრისტეს მაჰმადი შეედავა და დაირღვა საქართველოს რელიგიური მთლიანობაც. ქრისტიანიზმი აღარ არის სიმბოლო მთლიანის ეროვნებისა. ქრისტეს შობა აღარ არის დღესასწაული მთელის საქართველოსი. ქრისტიანობა ვეღარ მოჰფენს რელიგიურ სითბოს ყოველ ქართველს.

ნახევარი საქართველო მაჰმადიანთა საქართველო რელიგიურად ჩვენთან ერთად ვერ იხარებს! და იგი საქართველო ხომ ჩვენი კაცად-კაცობის, ჩვენის კულტუროსნობის სულმნათი კალატოზია! და შობის დღესასწაული საქართველოს ერთი ნაწილის დღესასწაული იქნება მხოლოდ! ჩვენ-კი შეერთებულად აღდგენილს, მთლიანს საქართველოს ვეტრფით და მისი სიმბოლიური დღესასწაული გვწყურიან! ამიერიდან სარწმუნოება ვერ გამოსთქვამს უკლებლივ ქართველის ეროვნებას, მთელ საქართველოის გულის ზრახვას. რელიგიის შობილი ღმერთები ვერ შეგვაერთებენ. ხსნა მხოლოდ ეროვნების ღმერთშია, რომელიც უნდა იშვას. ამ ღმერთის წინაშე ქედი უნდა მოიხაროს ქრისტემაც, მაჰმადმაც და მუნ მუდმივი შერიგების წყარო სვან! დღეს ღმერთი ეროვნება ღმერთ-სარწმუნოებაზე მაღლა სდგას. მხოლოდ მისი შობა დაგვიბრუნებს დღესასწაულს, რომელშიაც მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველი, რომელშიაც მთელი საქართველო, გულსავსებით იზეიმებს. ამ შობას გილოცავ, ქართველო, მხოლოდ ამ შობას, ახალ შობას!

ს. გედია

## გამოფენა „საბავშვო ბაღში"

ქუთაისში, გენერლის ქუჩაზე, არსებობს ერთი პაწია სკოლა—საბავშვო ბაღი ქ-ნ ქავთარაძისა.

არსებობა ასეთი პატარა სკოლისა ბევრისათვის იქნება შეუმჩნეველიც იყოს, რადგანაც ქუთაისი, სხვათა შორის, იმითაც არის შესანიშნავი, რომ აქ ყველა ჯურისა და ტიპის სკოლა მრავლად მოიპოვება და ქუთაისი უფრო მოწაფეთა ქალაქია, ვიდრე თვით მოქალაქეებისა! ..

სასიამოვნო და თან იმედების აღმძვრელი სანახავია ქუთაისი დილის შვიდი საათიდან რვა საათამდე, და საღამოს 2—3 საათამდე, როცა ქუთაისის ოღრო ჩოღრო ქვა-ფენილებზე წეროებივით გამწკრივდებიან ხოლმე მოსწავლე ქალ ვაჟნი და აჩქარებულის ნაბიჯით მიცუხცუხებენ სკოლებში, ზოგი აღმა, ზოგი დაღმა, ზოგი გაღმა, ზოგიც გამოღმა!

უყურებთ სიცოცხლით სავსე ახალგაზდობას, გული ნეტარებით გევსებათ და თან ჰფიქრობთ: გავა ათი, ოცი წელიწადი ქართველი ბავშვები წამოიზარდებიან, დავაჟკაცდებიან და ჩვენ ჩამორჩენილ ქვეყანას ფეხზე დააყენებენო. მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებაა!

ჩვენებური სასწავლებლები ისეთი ჯურისა და მოწყობილობისაა, რომ მრავალი წლების შემდეგ ეს სასწავლებლები გვიმზადებენ მხოლოდ ჩინოვნიკებს, ან ქალიშვილთა ისეთს უმრავლესობას რომლებიც ითვისებენ მხოლოდ უკანასკნელ მოდას და [illegible] გადაგვარებულნი,—დგებიან რა იმ სისხლის წვიმებისა და ხალხის დამშევის დროს, შვიდ რვა თუმნიან „პოლსაპოშკებზე", კუდმოგლეჯილ კაჰკაჰივით მხოლოდ თავის ფეხებზე დაიყურებიან ხოლმე!

ქვეყანა, ქვეყნის საქმე, ოჯახი,—გვგონია, არც კი იციან რა არის და ბულვარის ტკეპნაში ატარებენ დღე-ღამეს!..

ვინ არის დამნაშავე, რომ ასეთი ახალ თაობა გვეზდება, დიდი გამოცნობა არა სჭირია

ჩვენი ოჯახები და ჩვენი სკოლები მოწყვეტილნი არიან რეალურ განვითარებას მშობლიურ ნიადაგზე და, რასაკვირველია, არარაობისაგან ჩვენ ვერ მოვითხოვთ საქმიანობასა და შრომის მოყვარეობას.

ჩვენ გვაცხოვრებენ არა გულითა და გონებით, არამედ თვალებით, წამბაძველობით და რადგანაც ქართველებს (ქალებსა, თუ ვაჟებს) თითქმის ყველას ლამაზი და ცოცხალი თვალები გვაქვს, ჩვენი რაობაც მხოლოდ თვალებში გამოიხატება!..

მაგრამ ხელ საყრელი კია ასეთი ჩვენი თვალთცხოვრება? განა დრო არ არის ლამაზ თვალებს ლამაზი აზრიც ზედ დავურთოთ და ცხოვრებაში უფრო მომზადებულნი გამოვიდეთ?

ოღონდაც, რომ დრო არის და ეს საჭიროება კარგად დაუნახავთ ისეთს აღმზრდელებს, როგორიც ყოფილან ქ-ნი ქავთარაძისა და მისი თანამშრომელნი.

ქ-ნ ქავთარაძის პაწია სკოლა არა ბრწყინავს გარეგნობით, მისი პაწია მოწაფეები არა სჩანან სხვა მოწაფეთა შორის, მაგრამ ისეთ გზაზე კი ყოფილან დაყენებულნი, რომ ახლო მომავალში სრულიად გარდაქმნიან ჩვენებურ მოწაფის ტიპს ..

ვინც ნახა ამ სკოლის მოწაფეთა ხელსაქმის გამოფენა, რომელიც გუშინ გაიხსნა ქ-ნ ქავთარაძის სკოლაში, ის დაგვეთანხმება, რომ ამ სკოლას აზრათა ჰქონია ბავშვების შემოქმედების განვითარება, ბავშვებში შრომის მოყვარეობისა და ცნობისმოყვარეობის აღზრდა-განმტკიცება და ეს კი უტყუარი გზაა მოწაფეთა სულიერ და ხორციელ ძალთა საპატიოდ გაწვრთნა-გაფურჩქვნისათვის.

ვინ იცის რამდენი ბუნებრივი ნიჭია ჩვენს ბავშვებში დამარხული, რამდენი ძალა და ენერგია იხარჯება ტყუილ-უბრალოდ, რამდენი შრომა და ჯაფა იკარგება იმ უმსგავსო წესისა გამო, რომელიც არსებობს დღევანდელ სკოლებში!

ქ-ნ ქავთარაძისასა და მის თანამშრომლებს კი, როგორცა სჩანს, მიზნად დაუსახავთ ამ უწესოების მოსპობა და განუზრახავთ მოწაფეებში განავითარონ მათი ბუნებრივი შემოქმედება ამას ამტკიცებს, ვიმეორებთ, ამ სკოლის ბავშვების ხელსაქმის გამოფენა. ორი თუ სამი ოთახი სავსეა ბავშვების ნახატებით, ნაძერწვით, ნამუშევრით. თქვენ აქ ნახავთ ხუთი ექვსი წლის ბავშვის მიერ დახატულსა, თუ ნა[illegible] ყვავილებს, ნახავთ დახატულ ფრინველებს, ცხოველებს, ნახავთ დაწნულ კალათებს, გამოქანდაკებულ [illegible] უტყვთა, თუ მეტყველთა სამეფოდან. ყველა ამათ ეტყობათ რომ დაუმთავრებულნი, გაუბედავის ხელით არიან ნაკეთები, მაგრამ ამავე დროს გრძნობთ, რომ ბავშვები დიდის ხალისით იჩენენ შემოქმედებას, ეძლევიან იმ ღვთაებრივ აღმაფრენის, რომელსაც ზეშთაგონება ჰქვიან. სჩანს, რომ ბავშვი ეძლევა ძიებას მშვენიერებისას, სიტკბოებას შრომისას, ნეტარებას ადამიანურის რაობისას და, მაშასადამე, ნორჩი არსება ამ თავითვე აღგება ნორმალურ განვითარების გზას...

სხვისა არ ვიცი და მე კი აღფრთოვანებული დავბრუნდი ამ გამოფენიდან და დავრწმუნდი კიდეც რა დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია ასეთ [illegible] ლებელს ჩვენი მომავლის თაობისათვის!

ასეთი სკოლები [illegible] ჩვენ ბავშთა უმრავლესობის და განავითარებენ რა მათს ბუნებრივ ნიჭს, შემდეგში მოგვცემენ ნამდვილ საქმის ხალხს, რომელიც ასე ეჭირვება ჩვენს დაქვეითებულ ოჯახსა, საზოგადოებასა და ერს!...

მაშ, ვუსურვოთ ასეთ სკოლებს წარმატება, მის ხელმძღვანელებს—მეტი მხნეობა, ქუთათურებს კი მეტი ყურადღება ასეთ სკოლებისადმი, რომ მუშაკნ მათნი არ დაშვრენ, არ დაიღალნენ უდროოდ და გამხნევებულნი საზოგადოების თანაგრძნობით შეუჩერებლივ მიისწრაფვოდენ არჩეულის,—დიდად სასარგებლო გზით!...

მასწავლებელი.

## თვითმწყსობისათვის.*)

ქართული ეკლესიის თვითმწყსობის საკითხი დღეს ისეთს ნიადაგზე დადგა, როგორც ეს შეეფერება უუფლებო ერისა და მბრძანებელი ერის ურთიერთობას.

ქართლ-კახეთის სამღვდელოებისაგან შემუშავებული რეზოლუცია

ცოტა ხნის შემდეგ გაზ. „საქართველომ" გვამცნო საქმის ნამდვილი ვითარება: მეფის ნაცვალს უბრძანებია, საეკლესიო საქმეებში მე ვერ გავერევიო; ეს სასულიერო მთავრობის,—მსოფლიო კრების საქმეაო.

პირდაპირობა და გულწრფელობა ყველაფერში კარგია. ამ შემთხვევაშიდაც, რუსეთის სასულიერო და სამოქალაქო მთავრობის გულახდილი პასუხი ჩვენი ეროვნული მოთხოვნილებაზე მადლობის ღირსია, რადგან ამით ყოველგვარ გაუგებრობას ჩვენს შორის ბოლო მოეღება.

ასე როდი იყო წინედ. ე ი. მას შემდეგ, რაც ქართველმა საზოგადოებამ პირველად ამოიღო ხმა თავის ეკლესიის უფლებობაზე. მაშინ სულ სხვა-რიგად დააყენეს საკითხი, საიდანაც ისე გამოდიოდა [illegible]

*) [illegible] ანტიოქიის პატრიარქს და უმტკიცებდა ივერიის ეკლესიის თავ-სუფლებას, ავტოკეფალიის ნაცვლად იხსენიებდა თვითმწყოსობას და ეს ტერმინი უფრო ლამაზად ხატავს ქართველი ერისა და ეკლესიის ურთ-ერთობას. ჩვენში კლერიკალიზმი იმ აზრით, როგორც ეს არსებობდა ევროპაში არ ყოფილა; ეკლესია სცნობდა ერს და ერი ეკლესიას იმდენად, რამდენადაც ეს ორი დიდი ფაქტორი ხელს უწყობდა საქართველოს აყვავებას. იმ აზრით გვრწამს ჩვენც თვითმწყსობა.

რედ.

## ამონაკვნესი.

სისხლი სჩქეფს, სისხლი მჩუხარებს, დიდ ოკეანეთ დამდგარა!.
გმირისა დეში ველზე სძევს, შიღუვავის წილად გამხდარა,
გლოვის ბურუსი ჩამოწვა, შავ ნისლად ქვეყნად გამდგარა,
შვილების სიმწრით დედების გული და ძუძუ დამწვარა!

მებრძოლთ ცოლები ცრემლს ჰღვრიან, უსხედან ჩამქრალს კერასა,
ფიქრობენ წარსულ სატრფოზე, სწყევლიან ბედის წერასა,
ამბავი მოსდისთ ქმრებისა: განგმირეს, ზოგიც მომკვდარა

დე ეს მსხვერპლი მსხვერპლადვე უფალმა მეიწიროსა,
შორს დაკარგული მოძმენი სამშობლომ დაიტიროსა,
თუ რომ მშვიდობა სულისა აწ მაინც დაგვიბრუნოსა
მზის სხივი მოხვდეს ციაგად დამწვარ გულს ესალმუნოსა.

ჩემს უძლურ გულსა სწყურია არ ნახოს მათი ვაება,
სრული მშვიდობა დამყარდეს... ვისაგძლო, რაც მენატრება,
სიკვდილსაც ტკბილად შევხვდები თუ რომ სამშობლო აღდგება.

ქრისტ. ღვებუაძისა.

## „ფლიდებო, ყველა სტუუვით!"

(სურათი)

— ნიკო! გუშინ ივანეს გამოსათხოვარ სადილზე დაესწარი?

— დავესწარი. მაგრამ ეჰ!

— სად გაუმართეს სადილი?

— სასტუმრო „კოლხიდაში".

— როგორი დრო გაატარეთ?! ბევრი „რეჩები" იყო ალბათ!

— ნულა მკითხავ, თუ ძმახარ!!

— როგორ? არ მოგწონს ამგვარი სადილები?

— მომწონს კი არა, არ ვიცი რა ვქნა?.

არ ვარგა. ჯერ ტოლ ამხანაგებში გამოთიშვა არ არის ლამაზი.

მერე, სულ სამსახურის კაცებს ვაცილებთ ხოლმე ყოველთვის. ვინ იცის, ეგებ ხელმეორეთ დაბრუნდა ისევ ჩვენში, გულში ნაკლათ, ექნება, შეიძლება ზოგიერთმა შურიც იძიოს!!.

წავიდე?

ვერც ამით ვისიამოვნე! სისაძაგლის მეტი იქ ვერა ვნახე რა!

ღმერთო ჩემო! რას არ ნახავ ამ სადილების დროს? რას არ გაიგონებ?!

ის, რომელიც მუდამ აგინებდა. ყოველ საზოგადოებაში ამცირებდა პიროვნებას, ნიჭს და ღირსებას, დღეს დამდგარა და აქებს, ადიდებს, ცათამდის აჰყავს იგი?!

— გუშინაც აგრე იყო განა?!

— გუშინ, რომ იყო ის, ნეტავ, ბევრჯელ იქნებოდეს?!

როგორ? უჩვეულებრივო იყო რამე? რითიმე განსხვავდებოდა გუშინდელი სადილი?.

— ბევრით! ძლიერ ბევრით!.

— რით? რა იყო ამისთანა?

— რა და ის, რომ ვისაც ჩვენ ვაცილებდით, შენც კარგათ იცი, ჩვენს თვალში რაფასი ჰქონდა! ყველა სულელს ვეძახდით ყველას ჩერჩეტათ, უნიჭოთ მიგვაჩნდა.

მაგრამ გუშინ, მარტო გუშინ გავიცან და დავაფასე იგი!

გუშინ მომეწონა და შემიყვარდა კიდეც!

მისმა გულახდილმა გაკიცხვამ, ვაჟკაცურათ სიმართლის და ჭეშმარიტების დაცვამ ყველანი გაგვაშტერა. სუფრის ყველა ორატორებს ენა მოტეხა, დაადუმა, მუნჯათ გახადა.. ადამიანის სიფლიდე დაჰგმო, დაქოლა. გულწრფელობა გაალმერთა..

მაგრამ რაფერ? რა სიტყვებით, ნეტა გაგეგონა?! შენი ყურებით მოგესმინა?!

ჯერ, ჩვეულებრივ, სუფრის ორატორები, სანამ კარგათ არ შეხურდენ-სდუმდენ.

თითო, ორ ორ გადაკრულ სიტყვებით იკვებებოდენ...

შეჰხურდენ თუ არა, აშალეს სალერღილი. შაბლონურის „რეჩებით" გაგვიჭედეს ყურები..

— შენ დიდი ნიჭიერი კაცი ხარო!

უთხრა ერთმა.

— შენის პატიოსნურ მოქმედების და თაყვანის მცემელი ვარო!

უთხრა მეორემ.

— შენი აქედგან. გადაყვანით დაობლდება ჩვენი ქალაქი.

ეს ობლობა საგრძნობელი და დიდათ ხანგრძლივი იქნება ჩვენთვისო!

უთხრა მესამემ.

— შენ რომ არ გვეყოლები, რა ეშველება ჩვენს ქალაქსო?!

უთხრა მეოთხემ და მთლათ გააშტერეს ჩვენი ივანე.

ივანე იდგა და გულ-მოდგინეთ უსმენდა ყველას. დიდხანს გაგრძელდა „რეჩები".

არავინ არ დარჩენილა, რომ „ტყუილი" არ ეთქვას. ყველამ იჯერა გული.

ბოლოს ადგა ივანეც

—- ბატონებო!

— სსსუუ.

— სმენა და გაგონება იყოს!

ბრძანებს ტოლუმბაში.

ყველა სმენათ გადავიქეცით. ივანეს მივაჩერდით. გვინდოდა, გევვეგონა მისი გულის ნადებიც.

— ნება მომეცით, მოგახსენოთ!

ბრძანეთ! ბრძანეთ! გაისმა ხმები.

— გული მტკივა! სული მიშფოთავს, როდესაც ამ გვარ სადილებს ვესწრები!.

შეიძლება მკითხოთ: რისთვის იწუხებთ თავს? თუ ასეა, რისთვის დადიხართ ამ გვარ სადილებზე.

მოგახსენებთ: დავდივარ მიტომ რომ მეც თქვენებური ადამიანი ვარ!

ვცოცხლობ და ვაზროვნობ ისე როგორც ყველა ჩემი მგზავრი ცოცხალი არსება, მაგრამ ეს სრულებით უფლებას მართმევს, მე დავგმო სისაძაგლე ჩვენს საერთო ცხოვრებაში.

თუმცა დღემდის მეც ჩვეულებრივათ შევყურებდი ადამიანის ამგვარ სიფლიდეს, გულ-ჩაკეტილობას, მაგრამ დღეს როდესაც ამ გვარის სიფლიდის საგნათ მე შევიქენი,

არ შემიძლია ჩემის ზიზღით არ დავგმო, არ დავქოლო იგი?!

ბატონებო! სად არის თქვენი გულწრფელობა, ქართველური გულ-ღია თამამი სიმართლის თქმა-ვაჟ-კაცობა?!

სად არის ადამიანის თქვენი ღირსეული დაფასება?!

რა მნიშვნელობა აქვს ამ გვარ სადილებს?

თუ კი მას ღირსსაკ გაუწყობთ და უღირსსაც?!

რა მნიშვნელობა აქვს მაგ თქვენს მჭერმეტყველობას, თუ მით საქებურსაც აქებ[illegible] და საგინებელსაც?!

რათ ფლიდობთ, სტყუით და მელ[illegible] ცობთ ასე?!

ძალას ვინ გაყენებსთ?

რათ დაეცით სულით ასე, რომ [illegible] კასისათვის თამამათ ვერ გითქვამს[illegible] ავაზაკი,

მავნე კაცი ხარო?!

ეს რამოდენიმე საათია, რაც თქვენს მჭერმეტყველობას ავარჯიშებთ ჩემზე.

გისმენდით.

ვცდილობდი რაიმე სიმართლე, გულწრფელი სიტყვა დამეჭირა მათში, მაგრამ მოვსტყუვდი...

არსად სიმართლე, არსად ჭეშმარიტი გულწრფელი გრძნობა არ ჰქონდა ცარიელი, სიცრუით გაბერილი სიტყვები ეჯახებოდენ ერთმანეთს და ჰაერში უმნიშვნელოთ იტანჯებოდენ.

ფლიდებო, სტყუით! ყველა სტყუით!

ის, ვინც ჩემს პატიოსნებას აღმერთებ[illegible] და, გუშინ მექრთამობას მწამებლა და

თითქოს ორივე დარგის მთავრობა პრინციპიალურად მზად იყო თვითმწყსობა მიენიჭებია ქართული ეკლესიისთვის. და თუ არსებითად ვერ ახერხებდენ თავიანთი რწმენის განხორციელებას ამის მიზეზს თვით ჩვენში ეძებდენ. ამით აიხსნება ის საზღაპრო ბრძოლა თვითმწყსობის გარშემო, რომელიც პირველხანებში წმიდა ისტორიულ-იურიდიულ ფარგლებში სწარმოებდა.

თვითმწყსობის საკითხიც ამ თვალით იქნა განხილული: არ შეგეძლოთ საეკლესიო საქმეებს თვითონვე გაძღოლოდით და ამიტომ ჩვენ გადმოგვეცითო. ამ შემთხვევაში ქართველ საზოგადოებამ ბანზე არ ააგდო სიტყვა და იურიდიულ უფლებებით აღჭურვილ მოწინააღმდეგეებს, იურიდიულ უფლებითვე შეებრძოლა. ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა მოსპო მხოლოდ რუსეთის სამოქალაქო მთავრობამ, გენერალ ტორმასოვის დახმარებით. IV მსოფლიო კრების XII დებულების ძალით კი, ასეთი რამე მარტო სასულიერო მთავრობას შეეძლო ჩაედინა, სამოქალაქოს კი არასოდესო. იმდროინდელი ქართველები გატაცებული იყო ასეთი მოსწრებული შენიშვნით. ფიქრობდენ, კანონიურ სამართალს ვერ გადაუხვევენ და თვითმწყსობას ხონჩით გვიბოძებენო მაგრამ, პოლომეკური თაღლითობა, ცოტახნის კინკლაობის შემდეგ სულ სხვა სფეროში გადაიტანეს მოწინააღმდეგეებმა. კანონიური უფლების მიხედვით თქვენ მართალი ხართ, მაგრამ რა ვქნათ, რომ ქართული ეკლესია მუდამ ანტიოქიის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, და არასოდეს მას თვითმწყსობა არ ჰქონიაო. მაშასადამე, რაც წინედ არ გქონიათ იმას ვერც დღეს მოგცემთო მოწინააღმდეგეთა ასეთი ლოღიკურ ეშმაკობამ, — იურიდიულიდან ისტორიულ უფლებაზე გადასვლამ, — ქართველები ვერ ჩააფიქრა, გააბრაზა მხოლოდ და საპაექრო ენა უფრო აამეტყველეს.

თვითმწყსობის უარმყოფელთ ხმამაღლა აუწყეს, რომ ვიდრე წმ. ვლადიმერი თქვენს წინაპრებს დნეპრში მონათლავდენო (ე. ი. VIII საუკ.) ქართველი ერის ეკლესია სრულიად დამოუკიდებელი იყო, როგორც ანტიოქიისა ისე იერუსალიმის საპატრიარქოდანო. თვით ისტორიული

---

უფროსთან მაზზლებდა.

ის, რომელიც დღეს ჩემს პატიოსნებას ეთაყვანებოდა, გუშინ საზოგადოებაში მლანძღავდა, მაგინებდა, სულელს მიწოდებდა..

ახლა, მიბრძანეთ, რა მნიშვნელობა აქვს ამ გვარ გაცილებას, ამ გვარ სადილებს?!

ას კაცში ორს თუ ნახავთ გულწრფელს, დანარჩენი?!

დანრჩენი რისთვის მოვიდენ?!

სიცილისთვის, სიცრუისთვის, ერთმანეთის მოსატყუებლათ?!

ვაქებთ და ვადიდებთ ვისმეს თუ გინდ საზიზღარიც იყოს მისი ნამოქმედარი.

ისიც ხომ თავაზათ გაუწითლებლათ ღებულობს ამ სიყალბეს, ქებათა ქებას და გულში კი სულ, ამის წინააღმდეგს, ფიქრობს?!

— რა ვუწოდოთ, ამ გვარ ერთმანეთის მოტყუებას, თუ არა სიცილიდე?!

ამით დაასრულა ივანემ თავისი სიტყვა. თავზე ქუდი დაიხურა და არც კი გამოგვშვიდობებია, გზას გაუდგა.

— ხა! ხა! ხა!

ეს დიდი ამბავი მომხდარა? ყოჩაღ ივანე, ყოჩაღ!

ამას მართლა, რომ არ მოველოდი მისგან.

მერე? თქვენ რაღა ჰქენით?.

— რას ვიზამდით?! დავრჩით ცივწყალ გადასხმული.

გაჩუმებული დიდხანს ვერ ვიპოვეთ სალაპარაკო საგანი.

ერთი მეორეს შევყურებდით და ღიმილი მოგვდიოდა.

ბოლოს მაინც დავგმეთ მისი საქციელი თუმც მის სიტყვებში დიდს ჭეშმარიტებას, წმინდა სიმართლეს ვხედავდით და დავიშალეთ...

თეოფ. ხუსკივაძე.

---

ქვანიც, კი და ქართული სასულიერო მწერლობის უბრალო ნაფლეთიც ჩვ ნდა სასარგებლოდ ლაპარაკობდა ამ შემთხვევაშიც.

ქართველები ფიქრობდენ: აი ეხლა კი დავიჭირეთ მოწინააღმდეგენი. გზა არ აქვთ, ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებას ხელი უნდა მოაწერონო. მაგრამ ფარისევლებს ეგ თქვენი ისტორიულ-იურიდიული უფლებები როდი აინტერესებდათ. მათი ნამდვილი გულისთქმა ქართული ეკლესიის თვითმწყსობის უარყოფაში გამოიხატებოდა და როდესაც ამ მხრივ ვერ გამოადგათ ვერც ისტორიული და ვერც იურიდიული საბუთები, საპაექრო ფრონტიც იცვალეს.

რაც იყო იყო, რამოდენიმედ მართალიც ხართო, მაგრამ ქართველები, რომ ნამდვილი მართლ-მადიდებელი ქრისტიანები არ არიან ამას რა უყოთო. აი მაგალითად, თქვენ ბიბლიასა და „ქართლის ცხოვრებას“ მეტს პატივს ცემთ, ვიდრე საქრისტიანო მწერლობას, არც ერთს თქვენგანს ხატი არ აქვს ოჯახშიო, ლოცვები არ იცითო და სხვა. ერთი სიტყვით მწვალებლობაზე დაგვიწყეს საუბარი. ეს მესამე საპაექრო კილო ვერაფრად ეჭაშნიკა განსაკუთრებით ქართულ მეცნიერებას, რომელიც ჩვენს რილიგიოზურ გრძნობაში აღმოსავლეთურ ელემენტებს ნათლად ამჩნევს. წარმართულ ქრისტიანული ნაშთები ერთად შეუზავებია ქართულ სარწმუნოებას და ამ ჩვენთვისაც აშკარა ფაქტს, აბა როგორ უარ ყოფდით. მაგრამ ამან აბრ ვერ გაუტეხა ქართული უფლების მაძიებელთ და მოწინააღმდეგეებს გადმა შეედავენ. ჩვენ რაც ვართ, იმას ჩვენც არაუ უარსვყოფთ, მაგრამ თქვენ ვინღა ბრძანდებითო. ცნობილმა რანდომ ხომ თქვენზე თქვა შემდეგი: „რუსების რელიგია შესდგება გარეგანი ჩვეულებებიდან და მხოლოდ ცრუმორწმუნეობით საზრდოობსო“. ამასვე ამტკიცებენ კორბი, სედერბერგი, ვებერი, სოლოვიევი და სხვა გამოჩენილი მკვლევარნი რუსული ქრისტიანიზმისა. ამის შემდეგ რა უფლება გაქვთ, თქვენ ჩვენს თვალში ბეწვი შეამჩნიოთ და თქვენსაში დვირეც კი არაო? სჯობს ამ საგანზე ორივენი გავჩუმდეთ: თქვენც სუ და სვენც სუო, უპასუხა ქართველი საზოგადოებამ. მოწინააღმდეგეებმა სევდიანად დასტოვეს ეს უკანასკნელი ფრონტიც და ეძიებდენ სხვა გზას. გამარჯვება ჩვენსკენ იყო ამდენხანს, მაგრამ აი, თავრიდის სალოყბოც ახმაურდა ამ საგანზე. 1909 წ. სათათბიროს სხდომაზე პურიშკევიჩმა და მარკოვ 2-ემ თვითმწყსობისათვის ბრძოლა, შიშველ სეპარატიზმად ჩამოგვართვა. სეპარატიზმი კი, ისეთი რამაა, რის გაგონებაზედაც ქართველნი „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“... თუ დღემდის მარტო რუსეთის კლერიკალური წრე ებრძოდა ქართული ეკლესიის თვითმწყსობას, დღეს მას გვერდს უმშვენებს მთელი ოფიციალური თუ, არა ოფიციალური რუსეთი მე მარცხენე ინტელიგენციასაც ეს ქართული სეპარატიზმი აშინებს, და ამიტომ მთელს იმპერიაში საეკლესიო საქმეთა ძირითადი რეფორმამდის პირზე ხელს გვაფარებენ ასეთია მეოთხე და უკანასკნელი საშუალება თვითმწყსობის წინააღმდეგ მიმართული ექნება თუ არა რაიმე ძალა ჩვენის მხრით იმის მტკიცებას, რომ ქართულ ეკლესიის დაქვრივებული საკატალიკოზოს აღდგენა სეპარატიზმს არ ნიშნავს? ვფიქრობთ რომ არა!

ასეთი გულახდილობისათვის მადლობაც გვეთქმის, რადგან ჩვენს შორის ალაგი აღარ ექნება კათაკმეველისებურ პოლიტიკურ ვაჭრობას.

ვენე.

---

# ახალი ამბავი.

✦ მწერალი ია ეკალაძე ამ მოკლე ხანში გამოაქვეყნებს ახალ 5 მოქმედებიან დრამას მოძრაობის დროიდან. დრამის უმთავრესი მომქმედია ერთი უდიდესი ქართველთაგანი და მის მარჯვნივ და მარცხნივ მდგომი ქართველი ინტელიგენცია.

✦ . როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ ადგ. ფოსტა ტელეგრაფის უფროსი კანტორის მოსამსახურეებს ქართულ ენაზე ლაპარაკს უკრძალავს.

✦ გუშინ ქუთაისის, გამრიგებელ მოსამართლეს უნდა გაერჩია ჩვენი გაზეთის რედაქტორის იაკ. ცინცაძის საქმე, რომელიც სამართალშია მიცემული „კუტ. ვესტის“ რედაქტორის დუელში გამოწვევისათვის, მაგრამ მოწმეთა საკმაო რიცხვ ს დაუსწრებლობის გამო საქმე სხვა დროისათვის გადაიდო.

✦ რედაქციამ მიიღო ორკვირეულ სალიტერატურო ჟურნალ „ცხოვრების“ მორიგი (17) ნომერი. ამ ნომერში სხვათა შორის ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავად მრავალი საყურადღებო წერილია მოთავსებული.

✦ მისი იმპერატორობითი უმაღლესობა კავკასიის მეფის ნაცვალი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე იმ პირთა და დაწესებულებათა მმართველების საყურადღებოთ, რომელთაც განზრახული აქვთ საახალწლოთ მისალოცი დეპეშის გაგზავნა, აცხადებს რომ ასეთებს ნუ უგზავნიან.

✦ შუამდგომლობა ადგ. მცხოვრებნი: სპირიდონ ბესარიონის ძე ჯორჯიკია, ლაზარე ბეჟანის ძე შურღაია და ილარიონ დავითის ძე ბოლქვაძე შუამდგომლობენ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე რათა ნება დართონ მათ, რომ დაარსონ სოფელ ხობში (ზუგდიდის მაზრა) სასოფლო სამეურნეო საზოგადოება, სახელწოდებით „კეთილი საქმე“.

✦ დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრონომმა ა. მ. ვასილევსკიმ უკვე მიიღო „საკის“ სისტემის გუთნები, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრების აგრონომიულ პუნქტებისათვის. განაწილებას ამ დღეებში შეუდგებიან.

✦ დავით კლდიაშვილის სახელობის, საფირჩხიის ხამკითხველოს სასარგებლოდ გამართულ საღამოდან წმინდა მოგება დარჩა 696 მან. 55 კაპ.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო რათა დაარსონ სოფელ ობჩაში (ქუთაისის მაზრა) მომხმარებელი საზოგადოება.

რედაქციამ მიიღო გრ. ჩ რკვიანის მიერ შედგენილი 1917 წლის, კალენდარი. გამოცემა ამხ. „განახლებისა“.

✦ ამ დღეებში შესდგება საზ. „რეგულიატორის“ შენობაში დამფუძნებელი კრება, ახალი საზოგადოებისა, რომელიც მიზნათ ისახავს გაავრცელოს ფართო მასაში კოოპერატიული მოძრაობა

✦ ხვალ ქალაქის თეატრში გაიმართება რუსული კონცერტი შემოსავალი გადაიდება კავკასიის არმიისათვის სადღესასწაულო ამანათების შესაძენად

✦ საზ. „რეგულიატორს“ აგვისტოდან დაწყებული მიუწოდებია ქუთ. გუბერნიის სხვა და სხვა კოოპერატივებისათვის 144 ვაგ. სიმინდი 49 ვაგ. მარილი, $1^1/_2$ ვაგ. შაქარი.

✦ სიმამაცისათვის დააჯილდოეს შემდეგი ქართველი ოფიცრები წ-მ. ანნას. მესამე ხარისხის ჯვრით პრაპ ვასილ მირიანა-შვილი და გრ. ზვანებაია. წ-მ. სტანისლავის მეორე ხარისხის ჯვრით პორ. ზაქარია ანდრონიკაშვილი წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ჯვრით პრაპ აპოლონ ვაგაშვილი. წმ. ანნას მეორე ხარისხის ჯვრით პრაპ. ვას. ცუცულაშვილი. ჯარის კაცები: ვერცხლის მედლით: რუბენ მჭედლიშვილი, ნიკოლოზ კობახიძე ივანე ფრუიძე ვლ. გრიგორაშვილი და ნიკიფორე კეჟეყმაძე.

✦ ქუთაისის მაზრის. საერობო აგრონომმა ფალავანდიშვილმა ქუთაისის გუბერნიის მთავრობის აგრონომისაგან წინადადება მიიღო, რომ „საკის“ სისტემის გუთნები, რომლებიც მან წარსულ კვირაში მიიღო გაუნაწილოს სხვადასხვა მომხმარებელ საზოგადოებებს, რათა დაარსონ სამეურნეო იარაღის გასაქირავებელი პუნქტები.

✦ 23 დეკემბერს კაკას ხიდის (ქუთ. მაზრა). ერთ-ერთ სავაჭროში შესულა ვიღაც ოსმალო მუშა რომელსაც მარცხენა ხელის სამი თითი ჰქონია წაწყვეტილი. ის გზის მუშა ყოფილა, თავს დასხმია ყაჩაღები გასაძარცვავად, მას წინააღმდეგობა გაუწევია, რისთვისაც დაჭრილა ხელში, წაურთმევიათ ყაჩაღებს 90 მანეთი, და უგზო უკვლოდ მიმალულან.

---

# ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ვაცხადებთ ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ, ვინაიდან ბევრ მათგანს ამ ... თის ფასი სრულად არ აქვთ შემოტანილი, თითოეულს მათგანს ეგზავნება კერძო ბარათი ზედ აღნიშვნით, თუ ვის რამდენი მართებს. ამის შემდეგ, ვინც მიმდინარე წლის გაზეთის ანგარიშს არ გაასწორებს, შემდეგისთვის აღარ დაიკვეთს იმათ 1 იანვრიდან გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზ „სამშობლოს“ კანტორა.

---

ზუგდ. კანცელარიის ცნობები.

**სოფელ ხიბულაში** (ზუგდიდის მაზ.) 21 დეკემბერს საღამოს რვა საათზე რამოდენიმე შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი გზაში დახვედრიან პლატონ საბას ძე ჯიშკარიანს წაურთმევიათ მისთვის 273 მან. და მიმალულან

**სოფელ ჭალადიდის მუხურში** (სენაკის მაზრა) 20 დეკემბერს, საღამოს 11 საათზე ალმასხან ბაჯანაძის სახლში შევარდნილან ყაჩაღები. ამ დროს სახლში ყოფილა ბაჯანაძის ქალი, ყ ჩაღებს მოუთხოვიათ მისთვის ფული, როდესაც ვერ მიუღიათ საბრალო ქალი იქვე მოუკლავთ ბერდანის თოფის ტყვიით. როგორც გამოურკვევიათ მკვლელობა ჩადენილია მისი ქმრის მოხერხებით, რომელიც ცუდ განწყობილებაში ყოფილა ცოლთან და ცხოვრობდა განშორებული.

შეცდომის გასწორება.

შობის ნომრის ახალ-ამბებთა შორის შეცდომით დაგვიბეჭდია: თანახმად „თბილისის სამართლო პალატის მოწერილობის საადგილ-მამულო ბანკისა ზედამხედველი კომიტეტის წევრი თავ. სოლომონ მიქელაძე გადაყენებულ იქმნაო“.

ეს ამბავი სიმართლეს მოკლებული ყოფილა. თავადი მიქელაძე სამსახურიდან არავის გადაუყენებია.

---

# გერმანიის მემარჯვენეთა და ცენტრის აზრი მორიგებაზე.

„ნოვოე ვრემიას“ ძრიელ უკვირს, რომ გერმანიაში ჯერ კიდევ არიან პარტიები, რომელთაც არა სწამთ, რომ იგინი წაგებულნი არიან და რომ შეუძლებელია გერმანიის გამარჯვება.

რადგან ზავის წინადადება ისე იყო გამოქვეყნებული, რომ თავისი პირობები არ სჩანდა რასაკვირ ელია, ყველამ თავისებურად ახსნა ზავის შემძლებლობა. მაგალითად, გერმანიის რეიხსტაგის მემარჯვენეთა და თითქმის ცენტრის აზრითაც, გერმანიის ტერიტორიულად გადიდებაზე სრულებით უარს არავინ ამბობს. მათი სიტყვით გერმანიის ტერიტორიალურად მომატება და ომის მოგება სრულებით გერმანიის გეგემონიას არ მოასწავებს. არც არავითარ გეგემონიას გერმანია არ ესწრაფვება. ეს ინგლისის მოგონებაა; თუ გერმანიის ვაჭრობამ აიწია და ინგლისსამ დაიწია, მას ეს გეგემონიად ეჩვენებაო.

გერმანიის კანონიერი სურვილია შემდეგი: ბელგია გერმანიის სახელმწიფოთა კავშირში შევიდეს. საფრანგეთის ფრონტიდან გერმანიას ორი, სამი დეპარტამენტი დაეთმოს. ეს საჭიროა ელზას-ლორენის სიმაგრისთვის და მადნეულ ადგილთა შესაძენად. აღმოსავლეთით გერმანიას მიაქვს ბალტიის ზღვაზე მდებარე გუბერნიები, ლიტვა, პოლონეთი და უკრაინა. აფრიკაში უნდა შესდგეს დიდი ცენტრალური სახელმწიფო გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. ამ სახელმწიფოში შევა გერმანიის კოლონიები, ბელგიის, ინგლისის და პორტუგალიის. რაც შეეხება ბალკანეთს ავსტრიას და ბოლგარიას, იგინი რასაკვირველია ღირსეულად დასაჩუქრდებიან. ამის წინ და წინ განსაზღვრა მეტად მიაჩნიათ. მათი ფიქრით ბალკანეთის გაყოფა სამშვიდობო კონფერენციამ უნდა გადაწყვიტოს. ოსმალეთს ყველა წართმეული ალაგები უნდა დაუბრუნდეს და ეგვიპტე საჩუქრად მიეცეს.

გაზეთი ამბობს, რომ ეს აზრია ნემეცთა მემარჯვენეებისა ინგლისის შესარცხვენად, რომ გერმანია დიდ სურვილს არ აცხადებსო და არავითარი გეგემონიისთვის არ იბრძვისო.

---

ამავე გაზეთის სიტყვით უკეთესი აზრისა არ არიან სხვებიც დილტრიხ შეფერი „დამოუკიდებელ ნაციონალურ კორესპონდენციაში“ წერს: პირველში ელზასლოთრენი უნდა დავიცვათ და ამის გამოსაჭიროა ის მადნიანი ადგილები შევიძინოთ, რომელნიც ბისმარკმა შეცთომით მიატოვაო. გერმანიისთვის საჭიროა, ამბობს შეფერი, ვოგეზების დასავლეთის მხარე, ტული და ვერდენიო. გარდა ამისა მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ლამანშის მხრით — სრუტის მხარეო.

# ქრონიკა.

**თფილისი.** სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა ქონდა 22 ამ თვეს და მსჯელობა იქონია მომავალ წლისათვის სამუშაო გეგმისა და საჭირო თანხის მოპოვების შესახებ.

— ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა სთხოვს საზოგადოების ბათუმის განყოფილებას დაუყონებლივ შეჰკრიფოს დაწვრილებითი ცნობები, თუ რაოდნად მართალია, რომ ვიღაც ზნე დაცემულნი უცხო ტომის ადამიანები ნავარდობენ კინტრიშის რაიონში და ავიწროებენ ადგილობრივ მცხოვრებლებს და მათი, წყალობით ბევრ ქართველ მაჰმადიანს ცუდი დღე დადგომიათ. მთავარი გამგეობისთვის ეს ცნობები ფრიად საჭიროა, რათა შესაფერისი ზომები იხმაროს აღნიშნულ ბნელ ძალების წინააღმდეგ.

— ტრამვაის ტარიფის გადიდების გამო, ქალაქის გამგეობაში საპროტესტო წერილები წარუდგინეს ქართულ გიმნაზიისა, სასულიერო სემინარიისა, ქალთა უმაღლესი კურსებისა ტეხნიკური სასწავლებლისა, მესამე გიმნაზიისა და სომეხთა სემნარიის მოსწავლეებმა. ყველანი თხოულობენ ძველი ტარიფის აღდგენას.

— **თელავი.** აქ ცარცვა-გლეჯა გახშირდა. ლადო კველაშვილის მამისთვის ამას წინად ყაჩაღებს წერილი მიუწერიათ და 600 მანეთი უთხოვიათ, რომ 17 დეკემბერს ღამით ეს ფული მიეტანათ მათთვის ბრევვაძის სახლში. შეშინებულ მამას გაუტანებია თავის შვილისთვის 70 მანეთი და გაუგზავნია ბრევვაძის სახლში. ეს ფული ძალიან ცოტა ჩვენებიათ ყაჩაღებს და დაუპირებიათ მისი მოკვლა. მაშინ ახალგაზრდა კველაშვილს ყაჩაღებისთვის უხვეწნია, ოღონდ გამიშვით, ნუ მომკლავთ, წავალ და კიდევ მოვიტან ფულსაო. წამოსულა თუ არა, მაშინვე პოლიციისთვის შეუტყობინებია. პოლიცია გაყოლია და სახლისთვის ალყა შამოურტყამთ თითონ კველიშვილისთვის რევოლვერი მიუციათ და მისივე თხოვნით ჯერ ის შეუგზავნიათ სახლში. იმასაც შესვლისთანავე ერთი ტყვიით ყაჩაღი მოუკლავს, მეორეთი მასპინძელი ბრევვაძე დაუჭრია. ხალხი მეტად დაშინებულია ყაჩაღებისაგან.

— **ხონი.** აქ გადაწყვიტეს სახალხო თეატრისათვის შენობა ააგონ. ადგილობრივმა ვაჭრებმა და შეძლებულმა მცხოვრებლებმა აღუთქვეს საჭირო თანხას გამოვიღებთო. ფიქრში აქვთ გაზაფხულზე შენობის საძირკველი ჩაყარონ.

— **ჭიათურა.** ერთი თვე არის, რაც დაბა ჭიათურაში პურის ფქვილი გამოილია. ამ ერთი თვის განმავლობაში ჭიათურლები ვსაზრდოობთ სოფლებიდან შემოტანილი სიმინდით. ახლა სოფლიდამაც არაფერი შემოაქვთ. საჭიროა ვიზრუნოთ და სოფელს სათესლე სიმინდი მივაწოდოთ, თორემ სოფელი უსიმინდოთ დარჩება.

— მეფის ნაცვლის საბჭომ ნება დართო ს. ასათიანს და მ. ნიკაჩაძეს სოფელ რგანში, ადგილ „წაბლარში“ მოახდინონ ...

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1917 წ. წელიწადი მესამე

# „საქართველო“

1917 წ. წელიწადი მესამე

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავ. აბესაძე, | რ. გაბაშვილი, | ზ. ედილი, | პ. კარბელაშვილი, | Legatus, | მელანია, | შ. ქარუმიძე, | პროფ. ა. ცაგარელი |
| ი. აბულაძე, | განდევილი, | ი. ვართაგავა, | დ. გ. კარიჭაშვილი, | ეპისკ. ლეონიდე, | შ. მღვიმელი, | ს. ქვარიანი, | ავ. წულაძე, |
| დ. არონიშიძე, | გ. ვვაზავა, | ზრ. ვეშაპელი, | დ. კასრაძე, | ი. ლორთქიფანიძე, | ნიკო ნიკოლაძე, | გ. ქიქოძე, | დ. ჭიაბრიშვილი, |
| ა. ასათიანი, | ს. გორგაძე, | ექ. თაყიაშვილი, | დ. კახელი, | ნ. ლორთქიფანიძე, | გ. ჟორდანია, | ნ. ყიფიანისა, | ზ. ჭიჭინაძე, |
| ალ. ახმეტელი, | გ. გორდეზიანი, | ინ-ბანი, | ს. კედია, | ტ. მარგველაშვილი | გრ. რობაქიძე, | სვ. ყიფიანი, | სტ. ჭრელაშვილი, |
| ვ. ბარნოვი, | ვ. გუნია, | პ. ინგოროყვა, | დეკ. კ. კეკელიძე, | ქ. მაჟაშვილი, | თედო სახოკია, | გ. ყიფშიძე, | მ. ჯანაშვილი, |
| ექ. გაბაშვილისა, | შალვა დადიანი, | ჩ. კაპანაძე, | ნ. კურდღელიშ., | ი. მაჭავარიანი, | ტ. ტაბიძე, | მიხ. შალამბერიძე, | ლ. ჯაფარიძე, |
| | | | | დუტუ მეგრელი, | ი. ფერაძე, | ვ. შალიკაშვილი, | სამხედრო მიმ. გ. X |

გაზეთის ფასი: მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანკარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით:

ხელის მოწერის დროს 7 მან. პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს-დე. საღ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

...ვლევანი შავი ქვის დასამუშავებლად

— დუშეთი. თბილისის გუბერნიის ...ლხო სკოლების დირექტორმა გუბერ...ორს წარუდგინა დასამტკიცებლად ს. ...ალაქარის საზოგადოების დადგენილე... რომლითაც ადგილობრივ სამინისტ... სკოლასთან არსდება სახელოსნო გან...ფილება. განყოფილებას საზოგადოება ...იურად 500 მანეთს დაეხმარება.

— ოზურგეთი. აქ არსდება კოოპე...ტიული სასადილო. ამხანაგობა უკვე ...დგა, რომელიც უკვე შეუდგა საქმის ...ხორციელებას.

## ...როვინციის ცხოვრება.

...სოფ. სვირი. კულტურულ დაწესებულე... სათანადო ნიადაგი ვერ მოიპოვა დ. სვი... რაც კი გაკეთდა ის მაშინვე დაიქცა. ...ედენიმე წლის წინად მოწინავე ინტელი...ნციამ დაარსა სამკითხველო აკაკის სახელო...ბედ. გვეგონა, თუ საზოგადოება აწი მაინც ...დგება გამოფხიზლების გზასა, მაგრამ ...ედი გაგვიცრუვდა. სამკითხველო უყურადღე...ბის გამო შეიქმნა კარტინარდის სათამაშო ...წესებულებად. წლის ბოლოს შედგა საზო...დო კრება. გამგეობას საყვედური გამოეცხადა ...იგი გადადგა. აირჩიეს ახალი გამგეობა, ...ერთ მცოდნე და საქმის მოსიყვარულე და ...ოთლაც ეს სამკითხველო წამოაყენებინდა, მაგ...მ მალე სამკითხველო სულ დაიხურა.

— სოფ. გუბი. (ქუთაისის მაზრა.) ...ფელი დიდ გაჭირებას განიცდის მუშა ხე...ს ნაკლებობით. სოფლის ახალგაზდობა აღარ ...ს და რომელიც სახლში დარჩენილა, ისიც ...ტაცია ქეიფს და კარტის თამაშს. მთელი ...მე არდნის დრიალია. ამ სოფელში არსებობს ...კითხველო და კარგი იქნებოდა საზოგადო...ა იქ მარტო საკითხავად დადიოდეს, თორემ ...დაბუცი და არშიყობა ასეთ ადგილს არ შე...ერება. სოფლის მოწინავენი კარგს იზამდენ, ...მ ითაურებდენ კოოპერატიულ ამხანაგობის ...არსებას და ადვირ წახსნილ მოვაჭრეთ ცო...თი მაინც აღაგმავდენ.

— სოფ. ჯიხაიში. აქეთ ძრიელ გლა...ამინდებია; უღვლდღე წვიმს სოფელში ...ვგლივ საქონლის ჭირი მძვინვარებს.

— სოფ. ტობანიერი. აქ მუშა ხელი ...ტაა. ამინდები კარგია. ახლა დროა დათე...სთვის, ვენახისთვის და თხილისთვის მიწის ...დაბრუნება, მაგრამ მუშა ხელის ნაკლებო...ს გამო საქმე შეფერხებულია, მომავალში ...იძლება ყანა ბოსტანი დაუთესავი დარჩეს. ...ლხი გასაჭირშია. ვაჭრები დიდად თავგასუ...ნი არიან. ამას ზედ დაემატა უგზოები და ...რდები, რომელიც თანდათან მატულობს. ...ჭირთა თვით ხალხმა მიიღოს ზომები ნა...რალთა წინაამდეგ და მით აღაგმოს მათი ...ფზლვრო მადიანობა. ამ საქმეს ყურადღება ...დას მიაქციონ ოლისთავებმა.

...ქვემო სვანეთში. იშვიათად შეხვდე...თ სკოლებს, აქ მთელ საზოგადოებაში ერ...ი სკოლის მეტი არ არსებობს და ისეც და...ე ხარისხოვანი, ე. ი. პირველ დაწყებითი ...აც სწავლის საქმე კარგად არ მიდის. მას...ვლებლები კარგად არ უხსნიან, შე...რდები გაკვეთილებს კარგა ვერ ამზადებენ. ...ის გამო ბრაზ-მორეული მასწავლებლები ...წავეებს, სცემენ სახაზავით, ყურს უწევენ, ...ნწვებზე აზოქებენ, კლასიდან გარეთ აგდე...ნ, და სხვ. გალახული მოწაფე შემდეგში ...შის გამო სასწავლებელში აღარ მიდის. ...ნი მშობლებს ძალით მიყავთ სკოლაში,

მაგრამ ისინი მაინც აღარ იცდიან სასწავლე ბელში. სკოლაში წასვლის მაგიერ, იგინი ტყეში გარბიან. ასეთი შემთხვევა ხშირია.

— ს. ზედა-აგარა. ეს სოფელი მდე-ბარეობს ზედა აჭარაში. ბორჯომის ხეობაში. წარსულ მაისში აქ გაიხსნა ერთ კლასიანი სა სწავლებელი ქართველ საქველმოქმედო საზო-გადოების მიერ. რადგან კლასი უდროოდ გა-ხსნეს, ხალხი ვერ შეხვდა მას, როგორც ეკადრებოდა, ბავშვები კლასში არც ერთმა არ გაგზავნა. ყველანი მაშინ მთაში მიდიოდენ საქონლის საწველსავად. ამაში ბრალი დადვეს მასწავლებელს და ადგილიდან დაითხოვეს. მის მაგიერ წრეულს დანიშნეს ლ. კალანდარა-შვილი, რომელიც ამოვიდა და ენკენისთვის დამდეგს უკვე მეცადინეობა დაიწყო. ახალმა მასწავლებელმა საქმე სასურველად მოაწყო. 30 მოწაფეს მოუყარა თავი და მათში შვი-დი ქალიშვილია.

## რუსეთი.

გაზ. „რუსკაია ვოლიას“ ცნობით, რა-დგანაც სახ საბჭოში ერთობ მემარცხენული ელფერი მიიღო ახალ წლიდან ბევრი მე-მარჯვენე იქნება მის წევრად დანიშნული.

— კავკასიის გამოქცეულებისათვის მი-ნისტრთა საბჭოს 2,974,073 მან. კიდევ გადაუდვია.

— როსტოვის მემარჯვენეთა გაზეთს „როსტოვის ფურცელს“ შინაგან საქმე-თა სამინისტროსაგან 50000 მანეთი აუღია სუბსიდიის სახელით.

— სწავლა განათლების სამინისტროს დაუმტკიცებია სას. საბჭოს 30 წევრის წინადადება ყირიმში (სიმფეროპოლში), რომლის მიხედვითაც იქ უნდა დაარსდეს უმაღლესი სასწავლებელი, სადაც განსა-კუთრებით ასწავლიან საბუნებისმეტყველო საგნებს.

— უწმინდესი სინოდი ამ ჟამად იხი-ლავს საკითხს ცენზურის შემოღების შე-სახებ ყველა იმ გამოცემაზე, რომლებიც საეკლესიო საქმეებისა და მმართველობის წესრიგს ეხებიან ხოლმე.

— „რეჩ“—ის სიტყვით მინისტრითა უმეტესობას პროტოპოპოვის დამტკიცება არ მოსწონებიათ. ტრეპოვი, ბარაკი, პოკროვსკი და რიტტიხი ცარსკოესელოში გამგზავრებულა იმავ გაზეთის სიტყვით ამას დიდი შედეგი მოჰყვება.

— პეტროგრადის სარწმუნო წყარო-ებიდან იტყობინებიან ტრეპოვი თანამ-დებობას თავს ანებებსო.

## უცხოეთი.

პოლონეთის გენ. გუბერნატორის მცხოვ-რებთათვის განუცხადებია პოლონეთის განთავისუფლება ისე კი არ უნდა გაიგოთ ვითომ თქვენ არავითარი მოვალეობა არ გედვათ კისრად; თქვენ ისევე უნდა გა-იღოთ მსხვერპლი, როგორც გერმა-ნელებმა და უფრო მეტიც, რადგან გერ მანელმა ჯარის კაცმა საკუთარი სისხლით მოგიპოვათ თქვენ თავისუფლებაო.

— საფრანგეთში მრავალ საქონელზე ახა-ლი ბაჟები შემოუღიათ.

— პარიზის კინემატოგრაფებისათვის უბრძანებიათ რომ აღარ უჩვენონ ხალხს ყაჩაღების და ავაზაკების ცხოვრებიდან აღე-ბული სურათები.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | დილის | 7 ს. 25 | წ. |
| „ | საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | დღისით | 12 ს. 40 | „ |
| „ | ღამის | 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | დილის | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | დილის | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | დილის | 11 ს. — | „ |
| „ | ღამის | 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს. 3 | „ |
| „ | დილის | 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | დღისით | 4 ს. | „ |
| ტყიბულისკენ | დილის | 3 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | დღით | 5 ს. 18 | „ |

III წ. მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. III წ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

ცხოვრებაზე

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით, ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი მესამე). ჟურნალი ეღირება წლიურათ 6 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 75 კ. თვიურათ 65 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ Романозу Спиридоновичу Панцхава.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. გრანული ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ—სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ანახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე გრნული მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. გრანული ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაკტიკულ ლაბორატორიისა“ ა. შავერზაშვლს სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ვრთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაკტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღის ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაკტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე ხრული. ქ. ოდესა.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.